

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ ୪୨୩  
ପ୍ରକାଶକାଳୀ

୫  
୯

1814-1887

ଫେବ୍ରୁଆରୀ ୨୪


ଲୋଭାତ୍ମକ ଉତ୍ସବାଦ୍ୟ

୧୦୩୦୯୬୦

ପ୍ରକାଶକାଳୀ

1887

କୋଣର କାହାର ପାଦିଲା



କାହାର ପାଦିଲା

1814-1887

+ 24 ଉତ୍ତରପଦ୍ମନାଭ

## დიმიტრი ივანეს-ძე

9030860

36441

3 · 246702

Algebra

(-25)



ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

1887



Дозволено Цензурою Тифлисъ, 6-го Ноября 1887 г.

# სახსოვები

## დიმიტრი ეიფიანისა

25-ს წარსულს ოქტომბერს ტელეგრამამ  
გვაცნობა შემაძლწუნებელი ამბავი.

შაბათს საღამოს ქალაქ სტავროპოლის  
გამხეცებულ ავაზაკებს მოუკლავთ თავის სა-  
დგომი დიმიტრი ივანეს-ძე ეიფიანი.

ამ შემაშფოთარმა ამბავში ერთის საათის  
განმავლობაში მთელი საქართველოს ზურგი  
მოჰყანა და მირამდისინ შეარება და შეაშფო-  
თა ერველი ქართველი კაცის არსება.

პირველს სანებში არ ვის გვჯეროდა ეს  
მხეცური მკვლელობა, არ გვჯეროდა იმიტომ  
რომ ასეთის მოულოდნელის თავზარ დაცემით

გონებამ შესწევიტა თაყისი ჩვეულებრივი მო-  
მრაობა, გრძნობანი მიჩღუნგდნენ.

ეველას, თითქოს, ისრე ღრმად — სულის სა-  
მირკვლამდინ — გამაქვავებელის მწუხარებით მომ-  
წამლავი გესლით ჩაეწვეთათ ეს ამბავი გულის  
იმ საიდუმლო კუნჭულში, სადაც დიდი ღრო-  
იდამ სასხლ-სორცზე გამოსახულიერ დიში-  
ტრი ჟიფიანის ნათელი და დიდებული სახე-  
ლი, მაგრამ საზარელი ამბავი ეველასათვის  
გახდა საეჭვო.

დიახ, დიმიტრი ჟიფიანი მოკვდა... მო-  
კლეს!...

დიმიტრი ჟიფიანი დაიბადა სოფელში ქვე-  
მხედვი 1814 წელსა.

ოქებსმეტის წლის არც კი იუო, როდე-  
საც სწავლა შეასრულა მამინდელს „კეთილ-  
შობილთა სასწავლებელში“, რომელიც ბო-  
ლოს გადაკეთდა დღევანდელ პირველ კლასი-  
კურ გიმნაზიათ, და სწავლის დამთავრების  
უმაღვე როგორც ნიჭიერი და პატიოსანი ჟმა-

წვილი კაცი იგი დანიშნეს იმავე სასწავლებელის მასწავლებელად.

ამ სასწავლებელში უიფიანს დიდი ხანი არ დაუკავა. სამის წლის განმავლობაში ის ასწავლიდა „კეთილმობილთა სასწავლებელში“ ოთხს საკანს: არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულს და რუსულს უნდას. აქედამ ამჟარად სჩანს, რომ ის იმ სანებში შესაფერად ნასწავლი და კანათლებული იყო. დიმიტრი თავისუფალ დროს თვითონ სწავლობდა, თავის დაუღალავის შრომით და მეცადინეობით განვითარდებოდა სწავლასა და მეცნიერებაში.

როგორც ზემოთ ვსთქვით დიმიტრი უიფიანი დიდს ხანს არ დარჩენილა მასწავლებელად განა შესაძლებელია მასწავლებლის ვიწრო ფარგალში მოეთავსებინა თავის სიცოცხლე იმ ბუნებით მდიდარს ჭაბუქს, რომელსაც უოველის სისხლის წვეთში საზოგადო საქმისთვის შრომის სურვილი უდუდა, რომელიც ერის და ქვეყნისათვის მზად იყო

მსხვერპლად შეეწირნა თვისი აწმეო მომავა-  
ლი და თვით საუვარელი სიცოცხლე საზო-  
გადოების და ხალხის სამსახურში.

არა და არა!...

ასევე მოხდა კიდევებ. 1834 წ. არა სრულ  
წლოვანი (20 წლის არ იყო) დიმიტრი ეი-  
ფიანი ბევრი იმ დროინდელი მოწინავე პი-  
რთა შორის გაგზავნილ იქმნა თვის სამშო-  
ბლოდამ რუსეთის ჩირდილოეთ შორეულ გუ-  
ბერნიაში ქალაქ კოლოგდაში.

კოლოგდაში ის შევიდა სამსახურში გუ-  
ბერნიატორის განცელარიაში და ორის წლის  
განმავლობაში ძრიელ წინ წავიდა. ამ სამსა-  
ხურში ეიფიანმა დიდი ნიჭი, ცოდნა და მე-  
ცადინეობა გამოიჩინა, რის გამო იმპერატო-  
რმა დააბრუნა საქართველოში და 1837 წელს  
თებერვალში დიმიტრი გადმოიუვანეს თბილი-  
სში სასტატისტიკო კომიტეტის საქმის მწა-  
რმოებლად.

სამშობლოში მისი სამსახური საოცარის  
სისწავით მიდის.

სასტატისტიკო საქმის მწარმოებელის თანამდებობიდან უიფიანი მალე დანიშნეს სეკრეტორი იმერეთის მმართველთან. აქ დიმიტრი უიფიანმა გამოიჩინა დიდი კაცო მოუფარეობა და ვინ მოსთველის სიკეთეს მისგან ჩადექილს ამ თანამდებობის აღსრულების დროსა! საქმარისია მხოლოდ ის გარემოება მოვიგონოთ რომ მაშინ იმერეთში დიდი შფოთი იუო ახალი წესების შემოღებით მთავრობისაგან და მხოლოდ დიმიტრი უიფიანის წეალობით ასცდა ბევრი მაცოურება იმერეთის დიდს უბედურებას.

1839 წ. უიფიანი გადმოიუვანეს ისევ თბილისში მთავარ-პართებლის კანცელარიაში.

აქედამ იწეუბა დიმიტრი უიფიანის ნაუკუთხერი შრომა სხვა და სხვა დაწესებულებათა სამსახურში. თანამდებობა მისი იუო, დიდი აკრეთვე მისი გავლენა და აქედამ სამსახური თავის ქვეენისათვის.

კორონცოვის ნამესტნიკობის დროს დანიშნეს უიფიანი მთავარ მართებლის სამარჩევლის კანცელარიის მართველად; შემდგომ ნამესტნიკმა მურიავიოვმა დანიშნა მთავარ-მართებლის კანცელარიის მმართველად შჩერბინინას ალაგას; მხოლოდ შემდგომ დაინიშნა მთავარ-მართებლის სამარჩევლოს წევრად.

მთავარ მართებლის სამრჩევლოში (**ცე-  
ბეტი**) დღის ნაბიჯით მიღიოდა უიფიანის სამსახური სხვა და სხვა ხარისხებამდინ. არ არის არც ერთი ადგილი და კუთხე საქართველოში, სადაც დიმიტრი უიფიანი არ უოფილიერ დანიშნული მთავრობისაგან როგორც ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი. იმერეთი, სამე-გრელო, გურია, ქართლი, გახეთი უველა იცნობენ დიმიტრი უიფიანს. ასე მიღიოდა მისი სამსახური 1862 წლამდე. ხოლო ამ წელს მაშინდელმა ნამესტნიკმა თავი ბარათინსკიმ დანიშნა აპეუზნათ მცირე წლოვნების

გამო მეცნიერის მთავრის შვილებისა უკედა  
მათ მამულზედ სამეცნიეროს სამთავროში.

1830 წლიდამ მოუთლებული 1863 წლა-  
მდე დ. ერიკანს აუსტულებია ათასებრი თა-  
ნამდებობა.

ამ თცდა ცამეტის წლის სამსახურის  
დროს დ. ერიკანს არ მოუჩენია არც ერთი  
დღე არც ერთი საბათი, მაგრამ და მტკიცე სუ-  
ლით იცი მსნეთ ასრულებდა თავის მოქალეო-  
ბას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნი-  
კი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და და-  
უცხროს მოდგაწერ.

არვის არ გაუკონია მისაგან არც ერთი  
საწელი სიტყვა, არც ერთი უსამართლო ქცევა.  
პატიოსნება და სიმართლე, აი ეს იცი მისი  
გზა მისი კანონი.

1864 წელს დიმიტრი ერიკანი თბილი-  
სის გუბერნიის თავად აზნაურობამ ამოირნია  
თავის წარამდლობად.

ამ ასალს და მისთვის საუკარელს თანამდე-  
ბობაზე სრულია გამალა ფრთები დიმიტრი  
ერიკანის სიუგარელშა სასოგადო საქმისათვის,  
აქ დ. ერიკანის საზოგადოებრივი გრძნობა

უმაღლეს წერტილამდინ აღმაღლდა. სანამ ქართველობა იქნება ეოვლად შეუძლებელია დავიწეება ეიფი: ნის მარშლობისა, რადგან ამ ხანებში დ. ეიფიანი შეუდგა თავისაგან შობილი აზრის შესრულებას სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებას, რომელიც კიდეც შეასრულა, დიდის ღვაწლისა და მეცადინეობით გუბერნიის მარშლად ეიფიანი დარჩა 1870 წლამდე.

თავი დაანება თუ არა გუბერნის მარშლობას დ. ეიფიანი თბილისის საქალაქო საბჭომ (დუმამ) ამოირჩია ქალაქის თავად. ამ თანამდებობაზედაც დ. ეიფიანს არ ვინ დაედარება.

ეიფიანი პირველი ქალაქის თავი იყო და ამიტომ ადვილად წარმოსადგენია რამდენი შრომა, სიბეჭითე და შეუდრკელი სასიათი უნდა რომ ახალი საქმე მოამინაუროს კაცმა.

ამ თანამდებობაზე დიმიტრი ეიფიანი იქ გულწრფელად მხნედ და დაუცხრომელად მუშაობდა. მის გამგებლობის დროს ქალაქს ბევრი სიკეთე დაეტეო. ობილისს მცხოვრებთ არასოდეს არ დაავიწედებათ დიმიტრი ეიფია-

ნი და მისი უანგარო სიკეთე 1879 წელს  
დიმიტრება თავი დაანება ქალაქის თავობას.

ამის შემდეგ პატივცემული მოხუცი სხვა  
და სხვა საზოგადოების სულის ჩამდგმელი და  
წინ მწევლად გამოდის საზოგადო ასპარეზზე.

ამ ორის წლის წანეთ ქუთაისის თავად-  
აზნაურობამ ღიმიტრი ერთხმად აირ-  
ჩიეს თავის წინამდებოლად ამ თანამდებობის  
აღსრულებას იგი ჩვეულებრივის სიმართლით  
და სიმტკიცით დაადგა, სოლო მარშლობა  
მისი სან მოკლე იუთ. შარშან იგი გარდასა-  
სლდა სტავროპოლის ქალაქში, საიდამაც,  
როგორც სმები ისმოდა, უნდა დაბრუნებული-  
ეო ამ თვის ბოლოში, მაგრამ...

მაგრამ უწმინდურება სელებმა ბოლო მოუ-  
ღეს იმ კაცს, რომლის მსგავსი ამ ასის წლის  
განმავლობაში ქართველები არ გამოსულან და  
ვეჭვობთ რომ ახლოს მომავალში კიდევ გა-  
მოჩნდნენ!...

არ არის ისეთი მცირედი საქმე საქართ-  
ველოში, არ არის ისეთი მცირედი დასწერი-  
სი ჩვენს ქვეყანაში, რომელშიაც დიდი და

უშიორველქესი მონაწილეობა არ მიეღოს გან-  
სვენებულს დიმიტრის!

ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი პირშემ  
შვილია დიმიტრისა მას არ დაუტოვებდა არც  
სახლობა ქართლ-კახეთში, რომ ზედ არ მის-  
დგომოდეს და არ დაეჯერებინოს ჩვენი მემა-  
მულენი ბანკის სარკებლობაში და ასე არ  
მოეგროვებინოს ბანკის მწარმოებისათვის სა-  
ჭირო ფულები.

ჩვენი სათავად-აზნაურო შეკოლა დამოუ-  
კიდებელი შედეგი დ. უიფიანის მეცადინეო-  
ბისა, მისის დაუფასებელი ლგაწლისა. ბანკის  
წეალობით შეკოლას არსებობის საშუალება  
აქვს...

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-  
დოება, მისის სკოლებით, დრამატიული სა-  
ზოგადოება მისის სამუდამო თეატრით და  
დასით სულ დ. უიფიანის სიმშნევით, მისის  
სისხლით და ოფლით არიან დაარსებულნი,  
ფეხვ მოდებულნი და წელში გამავრებულნი!

აიღეთ მწერლობა, აქაც როკორც უკელა  
საქმეში განსვენებულს უიფიანს დაუგიწყარი  
შრომა მიუძლვის

განსევენებულმა კარგათ იცოდა უცხო ენები და განსაკუთრებით ფრანციზული მისის კალმის და მარჯვენის წეალობით ქართველ საზოგადოებას საშუალება მიეცა გაუცნა გამოჩენილი ევროპიელი კენიოსები; შექმნილი, მოლიერი, შილერი და სხვანი.

რა არის ისეთი ჩვენში, რასაც არ ეტეობოდეს დიმიტრის დიდებული ნიშანი?

სწავლის, მუცნიერობის, ხელოვნების და მრავალ სხვა საგნების ჭარბ-ულელის მწაველი დიმიტრი ეიფიანი იუო და უველა ამ ხდამიანისაგან აუტნელის ტვირთ ქვეშ მოზნექილს დიმიტრის არც ერთხელ არ ამოუქმენია, არც ერთხელ არ ამოუკვნესა.

დიახ, იგი იუო რაჭაც დევ-გმირი, უცხო ქმნილება, აღსავსე, მსნეობით, ზატიონსნებით სიმართლით და განუზომელ სიუვარულით!..

დიდებული სულით და გულით იგი დიდებულ იუო კაცთა მორის თავის საქმეებით, შეუძლებელის სასიათით დაუსედველის სიმტკიცით!..

ამდენი საქმერი დიმიტრი ეიფიანის ხელით მოშენებულნი რა თქმა უნდა მიეწერება

მისი საოცარს ხასიათს ჩვენ ვამბობთ საოცარს იმიტომ რომ ამ ჩვენს დროში დიმიტრის ხასიათის მქონე მრიელ იძვიათი მოვლენაა. თქმა და საქმე ერთი იურ დიმიტრისთვის იგი პატარაობიდანვე იურ დაჩვეული დაბრკოლებათა ძლევას, თავის აზრების განხორციელებას, თუნდაც რომ მავ განხორციელებისათვის უბედურება და ჭირი წწვევოდა. მისი სან კრძლივი სიცოცხლე განუწევატელი შრომა და დაუხვეველი წინ მსვლელობა ბეჭითი გამარჯვება იყო.

ერთხელ ემაწვილობიდამვე დაჩვეული მტკიცე ნაბიჯებს ცხოვრების მოედანზე იგი სიბერეშიაც მსნეთ და დაუღალავად მარგლავდა კლიან გზას და პირნათლათ ადიოდა დიდების მთაზე საიდამაც მედიდურის სიუპარულით გადმოსცექროდა ერსა და ქვეუანას თითქოს იწვევდა მათ თავისაკენ, თითქოს ეუბნებოდა მათ: შვილებო იმრომეთ, იმეცადინეთ, შრომაშია ბედნიერება სულისა, მეცადინეობაშია ბრწყინვალე მომავალი ქვეუნისათ!

ღვაწლი დადებული დ. ეიფიანისაგან ჩვენთვის და ქვეუანაზე სწორედ რომ დაუფა-

სებელია, იმის თვალ-წინ და თითქმის იმის  
ხელში ადგრძილან ორი ასალი თავობა, რო-  
მლის წინა-მძღოლელი, უბედურებაში გამამ-  
სნეველი და მასწავლებელი იუო თვით დ.  
უიფიანი.

დიმიტრი უიფიანის უპირატესობა უკელა  
საქმეში და საპატიო მნიშვნელობა ჩვენში ერ-  
თი ათად ორკუცდება იმ გარემოებით, რომ  
იგი სცხოვრებდა მამინ როდესაც ჭერმო ზი-  
რს და საზოგადოთ მთელს საზოგადოებას შე-  
მოვარგული აქვს ვიწრო მოედანი თვით მო-  
ქმედებისა, რომელის გადაცილება დაუსჯელად  
არ ვის შეეძლო.

იმ დროს როდესაც ეროვნების ჩვეულე-  
ბრივი მიმდინარება წარმატებისაკენ როგორმე  
შეჩერებულია, როდესაც თვით სიუვარული  
ერთისადმი და სიმძულვარე მეორისადმი კბილ  
მოჭრილნი არიან და მამასადამე როდესაც გაგი-  
ერთოს სიცოცხლე რაღაც უგემური და უნა-  
უოვო ღეჭვაა ცხოვრებისა, იმ დროს დიმი-  
ტრი უიფიანისთანა კაცები არიან საჭირონი,  
მაშინ იმისთანანი არიან სათავეანონი. რადგან  
მარტო მათ შეუძლიანთ ცხოვრების გაგემრიე-

ლება, მარტო მათ შეუძლიანთ როგორც საზოგადოების პურიფიკაციის გერმო პირთა გულის სისარულით ამგერება, მათ შეუძლიანთ მათის სულის და გონიერის გაფრთხება.

უპირველესი ღირება მაგივარ პირებისა არის რწმენა სასოგადოებისა მათგამი როგორც სასოგადოებას რისიმე ან გისიმე რწმენა აქვს, მამინ იმედიც უცხოველდებათ...

დიმიტრი უციურანი სწორები ასეთი კაცია. ჩემი სალს სჯეროდა, რომ დიმიტრი თავის ფარ-სმალს სმართდა მსოლოდ იმ პირთა მოძღვრებად ვანც ურჩები ეცონა, უველას სჯეროდა სასიათო დიმიტრისა ჩვენი ქვეუნისათნა სალი კლდებისაგით მტკიცე და შეურ-ეველი იყო, უველას სჯეროდა რომ დიმიტრის უევარდა ჩვენი სალსი და ქვეუნა და მსოლოდ ამათის სიუბარულით იბრუნებდა იგი სულს. დიას მთელს საქართველოს სჯეროდა, რომ.

ის კაცი ცემა, ვით შეფერის კაცსა კაცობა.. მე ვეღრ ვნახავ იმის მსგავსა ჩემს სიცოცხლეში!

301.19

ე 492

ი ს ე ი ღ ე ბ ა

გრაფოლ ჩარკვდანის ქართულ წიგნის მაღაზიაში.

2004/3.5

5-

ვასი. რედ. ვაცენი